ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №18

ქალაქი ქუთაისი

4 ოქტომბერი, 2019 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
4. ლია გვენეტაძე - მწერალი, ჟურნალისტი;
5. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
6. მაია ყუფარაძე - ჟურნალისტი;
7. ემზარ ღვინიანიძე - იმერეთის რეგიონული სავაჭრო –სამრეწველო პალატა;
8. ვლადიმერ კვიტატიანი - ააიპ ინოვაციური განვითარების ფონდი ,,დრანდა";
9. მამუკა თევდორაძე - ბიზნესის წარმომადგენელი
10. გია ცალანი - დევნილთა სათემო კავშირის უფროსი;
11. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;
12. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
13. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 13, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 9 წევრი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო არის გადაწყვეტილებაუნარიანი, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი ჭიღვარია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი;
დავით ერემეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვიცე - მერი;
ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი;

მირზა ხიდაშელი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით წარიმართა შეხვედრა.

დღის წესრიგი

მე - 18 სხდომა

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. ქუთაისში განსახორციელებელი ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, მომხსენებელი: ქ. ქუთაისის მერი გიორგი ჭიღვარია.
4. ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან გასვლითი შეხვედრების შედეგად მიღებული პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრის გზები, მომხსენებელი: ქუთაისის ვიცე-მერი დავით ერემეიშვილი.
5. volis.kutaisi.gov.ge-ze (ონლაინ პლატფორმაზე) მსჯელობა და შემოსულ მოქალაქეთა განცხადებების განხილვა. მომხსენებლები: GEPRA-ს წარმომადგენელი გიგა ხარებავა და საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია.
6. სხვადასხვა.
8. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

1. ქუთაისში განსახორციელებელი ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, მომხსენებელი: ქალაქ ქუთაისის მერი გიორგი ჭიღვარია.

ქუთაისში, თბილისის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა. სრულად გამოიცვალა სანიაღვრე ქსელი, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, დამონტაჟდა ახალი სანათები და ყველა საკომუნიკაციო ქსელი მიწის ქვეშ განთავსდა.
პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 1 106 475 ლარით დაფინასდა.

1 400 000 ჯდება რიონისპირა სახლების რეაბილიტაციის პროექტი. აღნიშნულ პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოახდენს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოსახლეობასთან მოლაპარაკება. ცნობილია, რომ ერთ-ერთი კომპანია დაინტერესებულია მოახდინოს 25 000 000 ლარის ინვესტირება აღნიშნულ პროექტში.

მერია ასევე გეგმავს ფასადების მოწესრიგების საკითხს.
ავანგარდში სკვერის რეაბილიტაცია განხორციელდა, რომელიც 520 000 ლარი დაჯდა.

დაგეგმილი იყო ლეონიძის სკვერის რეაბილიტაცია, თუმცა ტენდერი არ შედგა და ხელახლა გამოცხადება იგეგმება.

დაგეგმილია წერეთლის და აღმაშენებლის ქუჩის სრული რეაბილიტაცია.

ძლიერი წვიმის და შესაბამისად გამოწვეულმა ქალაქის დატბორვამ აჩვენა რიგი პრობლემები სანიაღვრე სისტემებში. მერიას დაგეგმილი აქვს შეიძინოს წყლის ამოსატუმბი 100 ტუმბო, სადაც 2 სტაციონარული იქნება. წყლის 100 ტუმბო ბინათ ამხანაგობებს გადაეცემა მოვლა-პატრონობაში. ეს იქნება დროებითი ზომა, სანამ სრულად მოწესრიგდება ქალაქში არსებული სანიაღვრე სისტემების პრობლემა. აღნიშნული ტუმბოების შესაძენად მერია 130 000 ლარს დახარჯავს.

მაია ყუფარაძე (საბჭოს წევრი): 1. თბილისის ქუჩაზე მორყეულია ზოგი ბოძი. 2. ბაგრატის ტაძრის უკანა განათება არ მუშაობს; 3. პანთეონის საპატიო დაფაზე არ არის ამოტვირფული ბოლო წლებში გარდაცვლილი ცნობილი ქუთაისელების სახელები და გვარები, რომლებიც პანთეონში არის დასაფლავებულნი.

გიორგი ჭიღვარია (ქალაქის მერი): 1. ფიქსირდება ბოძების დაზიანების და ნათურების მოპარვის ფაქტები. აღმოჩენილი დარღვევები იქნება აღმოფხვრილი. 2. ბაგრატის ტაძრის განათების საკითხზე უკვე მუშაობენ და მოხდება განათება. 3. შეისწავლიან პანთეონის საკითხს.

ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე): 1. სასურველია მოხდეს საბჭოს წევრთა შემადგენლობის გადახედვა და იმ წევრების გაყვანა, რომლებიც არ დადიან შეხვედრაზე. 2. სასურველია სამოქალაქო ინიციატივების თანხა გაიზარდოს.

გიორგი ჭიღვარია (ქალაქის მერი): 1. მოხდება მდგომარეობის შესწავლა და მიიღებს გადაწყვეტილებას. 2. აღნიშნულ საკითხებზე გაივლიან კონსულტაციებს.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, ლია გვენეტაძე, თემურ ამყოლაძე, მაია ყუფარაძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, მამუკა თევდორაძე, გია ცალანი, თეონა გოგიშვილი, ლევან როხვაძე, ხვიჩა ვაშაყმაძე.

2. ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან გასვლითი შეხვედრების შედეგად მიღებული პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრის გზები, მომხსენებელი: ქუთაისის ვიცე-მერი დავით ერემეიშვილი.

დავით ერემეიშვილი (ქალაქის მერის მოადგილე): აგვისტოს თვიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრები, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. ქალაქ ქუთაისის მერის პირველი მოადგილე დავით ერემეიშვილი, საკრებულოს წევრებთან და მერიის სამსახურის უფროსებთან ერთად „ძელქვიანის“, „ავტოქარხნის“, „გამარჯვების“, საფიჩხიის“, „ნიკეასა“ და „უქიმერიონის“ ადმინისტრაციული ერთეულების სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს შეხვდნენ. მოსახლეობასთან შეხვედრები დიალოგის რეჟიმში წარიმართა და საუბარი შეეხო, როგორც მიმდინარე და დაგეგმილ კონკრეტულ პროექტებს, ასევე იმ გამოწვევებს, რომელთა გადაჭრაც გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

შეხვედრებისას მოსახლეობას მიეცა წინადადება აქტიურად მიიღონ მონაწილეობა 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში, რათა მომდევნო წლებისთვის ქალაქის მმართველობას არ გამორჩეს ისეთი პროექტები, რომელსაც მოსახლეობა საჭიროდ მიიჩნევს ჩვენი ქალაქის მომავალი აღმშენებლობისათვის.
ყველა შეხვედრას ესწრებიან მერის სამსახურების ხელმძღვანელები, ან მათი წარმომადგენლები. ეს საშუალებას გვაძლევს იქვე გაეცეს პასუხი მოსახლეობის მიერ დასმულ შეკითხვებს. პასუხის არ არსებობის შემთხვევაში ჩვენი მხრიდან უმოკლეს დროში ხდება კითხვის ავტორთან დაკავშირება და განმარტების მიცემა, თუ რამდენად მოგვარებადია, ან როდისთვის იგეგმება აღნიშნული პრობლემის მოგვარება.
შეხვედრაზე გამოთქმული ყველა პრობლემური საკითხი და წინადადება ყოველდღიურად ანალიზდება და მიეწოდება შესაბამის სამსახურს შემდგომი რეაგირების მიზნით.
დღეის მდგომარეობით 6 ადმინისტრაციულ ერთეულში, 45 შეხვედრაზე გამოთქმულია სულ - 463 წინადადება და პრობლემა, მათ შორის:

- კეთილმოწყობის საკითხებზე დაფიქსირებულია 236 - პრობლემა. (ბექა ყურაშვილი, კოტე ჯავახაძე, მალხაზ ბასილაძე.)
- საბინაო ინფრასტრუქტურის საკითხებზე - 102 (ჯონი არაბიძე)
- სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებზე - 23 მოქალაქე. ერთჯერადი დახმარების სახით შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისა და შესწავლის შემდეგ ჯამში გაიცა - 8 700 ლარი. (დავით ერემეიშვილი, ნინო თვალთავაძე, იუზა უგულავა).
- ქონებისა და ეკონომიკის საკითხებზე - 23. (დავით ზივზივაძე, ვალერი სილაგაძე)
- გარე სამსახურების მისამართით - 58 (გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, საპატრულო პოლიცია, შსს, სოკარ ჯორჯია გაზი.)
- სხვადასხვა საკითხებზე - 31 (დასაქმების შესახებ, ოჯახური დავა, მეზობლებს შორის არსებული დავა და ა.შ.)

სამსახურები მუდმივ რეჟიმში რეაგირებენ შეხვედრებზე დასმულ საკითხებზე. შედეგად, პრობლემური საკითხები ნაწილი უკვე მოგვარდა, ან მიმდინარეობს მათი გადაჭრისათვის საჭირო სამუშაოები. ხოლო, იმ საკითხებზე, რომელთა მოგვარება შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას მომავალი წლის ბიუჯეტში, ან აღემატება ჩვენს შესაძლებლობებს, ინფორმაცია ადმინისტრაციული ერთეულებისა და მაჟორიტარი დეპუტატების საშუალებით მიეწოდება საკითხით დაინტერესებულ მოქალაქესა და მოსახლეობას.

ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე): სასურველი იქნება თუ მომავალში აღნიშნულ შეხვედრების შესახებ ეცნობება საბჭოს და მისი წევრები ჩართულები იქნებიან აღნიშნულ პროცესში.

დავით ერემეიშვილი (ქალაქის მერის მოადგილე): ჩვენ გამოგიგზავნით გეგმას და შეგატყობინებთ შეხვედრების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, ლია გვენეტაძე, თემურ ამყოლაძე, მაია ყუფარაძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, მამუკა თევდორაძე, გია ცალანი, თეონა გოგიშვილი, ლევან როხვაძე, ხვიჩა ვაშაყმაძე.

3. volis.kutaisi.gov.ge-ze (ონლაინ პლატფორმაზე) მსჯელობა და შემოსულ მოქალაქეთა განცხადებების განხილვა. მომხსენებლები: GEPRA-ს წარმომადგენელი გიგა ხარებავა და საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია.

გიგა ხარებამავ (GEPRA-ს წარმომადგენელი): შემოსულია 90 სამოქალაქო ინიციატივა. საბჭომ უნდა განიხილოს და შეარჩიოს 10 ინიციატივა, რომლიდან მოსახლეობა შეარჩევს 3 საუკეთოს.

მსჯელობა გაიმართა შერჩევის კრიტერიუმებზე და წესებზე. ასევე საბჭოს წევრებმა განიხილეს ინიციატივების განხილვის პროცედურის საკითხები.

ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი): შემოვდივარ წინადადებით, რომ შეიქმნას მცირე ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება საბჭოს წევრებისგან და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებით. აღნიშნული ჯგუფი შემოსული ინიციატივების ტექნიკურ გადარჩევას მოახდენს შემდეგი 2 მიმართულებით: 1. პასუხობს თუ არა ინიციატივა ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას; 2. ქუთაისის მერიას აქვს თუ არა დაგეგმილი მსგავსი აქტივობის განხორციელება მომავალ წელს და აღნიშნული აქვს თუ არა ასახული ბიუჯეტის პროექტში. დარჩენილი პროექტები მომდევნო სხდომაზე წარედგინება საბჭოს განსახილველად.

ჩატარდა კენჭისყრა:

ესწრებოდა: 13 წევრი
მომხრე: 13 წევრი
წინააღმდეგი: 0 წევრი
თავი შეიკავა: 0 წევრი

დადგინდა: მცირე ჯგუფი იმუშავებს მერიის წარმომადგენლებთან ერთად და მოახდენს შემოსული პროექტების ტექნიკურ გადარჩევას და გადანცხადების პირველად ანალიზს.

ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე): მიემართოს მერიას, რომ გადმოგვცნენ ის ინიციატივები, რომლებიც წერილობით მერიის ან სხვა ადმინისტრაციული ერთეულების სახელზე შევიდა, რათა ერთობლივად მოხდეს მათი განხილვა. აღნიშნულის გარკვევა დაევალოს საბჭოს მდივანს ნუგზარ კოხრეიძეს.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, ლია გვენეტაძე, თემურ ამყოლაძე, მაია ყუფარაძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, მამუკა თევდორაძე, გია ცალანი, თეონა გოგიშვილი, ლევან როხვაძე, ხვიჩა ვაშაყმაძე.

დაადგინეს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მე-19 სხდომა გაიმართოს 11 ოქტომბერს 14 საათზე მერიის სათათბირო დარბაზში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე